

საქიროა ავითვისოთ მუშაობის მოწინავე მეთოდები“ („კომ.“); „ბევრი მათგანი... არ ეწევა ფიზიკურ ვარჯიშს [უნდა იყოს: ფიზიკურად არ ვარჯიშობს]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „[იგი] თავის მხრივ ეწეოდა მორფის გაყიდვას [უნდა იყოს: ყილდა მორფს]“ („კომ.“); „[იგი] ეწეოდა სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონლის ყიდვა-გაყიდვას მაღალ სპეკულაციურ ფასებში [უნდა იყოს: იგი სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელს ყიდულობდა და სპეკულაციურ ფასად ყილდა]“ („ჭიათ. მად.“); „ზოგიერთი ქალები იქამდე მივიდნენ, რომ ყოველდღიურად იკრიბებინ, ეწევიან ღვინის გადაქარბებულ სმას [უნდა იყოს: ზოგიერთი ქალი უზომოდ სვამს ღვინოს]“ („ჭიათ. მად.“); „მეთოდური საბჭო... ამ სამუშაოს საქირო... სიზუსტით ვერ ეწევა [უნდა იყოს: ვერ ასრულებს, როგორც აქიროა]“ („ლიტ. საქ.“).

3

ვერ(ბ) იხ. არ(ა).

ვერნისაჟი. უცხო სიტყვა ვერნისაჟი (ფრანგ. vernissage) აღნიშნავს სამხატვრო გამოფენის დახურულ დათვალიერებას, რომელზედაც მოწვეული არიან სპეციალისტები და საპატიო სტუმრები. ამ სიტყვით აღინიშნება აგრეთვე სამხატვრო გამოფენის გახსნის დღე. ვერნისაჟის სიტყვისიტყვითი და თავდაპირველი მნიშვნელობა არის ნახატის დაფარვა ლაქით (გამოფენის გახსნის წინ). შემდეგ, როგორც ჩანს, ამ სიტყვამ ვაიფართოვა მნიშვნელობა და ასე აღინიშნა გამოფენის გახსნის დღეც; ამ უკანასკნელი მნიშვნელობით არის ეს სახელი შემოსული ქართულშიც: „ვერნისაჟზე მოვიდნენ მხატვრები, მწერლები...“ (ტელეგად.); „ვერნისაჟზე მხატვრის შემოქმედების შესახებ ილაპარაკა მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ...“ („კომ.“); „ვერნისაჟზე შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები“ („ლიტ. საქ.“) და ა. შ.

შეინიშნება ვერნისაჟ- სიტყვის მნიშვნელობა კიდევ უფრო ვაფართოვება, იგი გამოიყენება საერთოდ გამოფენის აღსანიშნავად, გამოფენის სინონიმად. ასეთი მნიშვნელობით სიტყვა ვერნისაჟი ნახმარია შემდეგ შემთხვევებში: „ვერნისაჟზე წარმოდგენილია პლაკატები, ნახატები, ქანდაკებები ქუთაისელი მხატვრებისა“ (ტელეგად.); „გამომცემლობა „მერნის“ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტების... ნამუშევრების გამოფენა... ვფიქრობთ, ასეთი ვერნისაჟები ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს“ („თბილ.“); „დღეს პაატას მიერ აკვარელით, გუაშით, ფანქრით შესრულებული სურათები მოსკოვში, ბაქო-

ში, ერევანში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებში მოწყობილ ბავშვთა შემოქმედების **ვერნისაუებს** ამშვენებენ“ („თბილ.“); „**თბილისური ვერნისაუი**“ („თბილ.“ — სათ.); „**ვერნისაუი** მოყვარული მხატვრის მეორე პერსონალური **გამოფენაა**“ („თბილ.“); „აკადემიის სტუდენტთა ესა და ბევრი სხვა ნაწარმოები გამოფენილია რესპუბლიკურ **ვერნისაუზე**, სურათების გალერეაში და აკადემიის საგამოფენო დარბაზში“ („კომ.“). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ერთი მხრით, გვაქვს ასეთი შესიტყვება: **გამოფენილია რესპუბლიკურ ვერნისაუებზე**, რომელშიც **ვერნისაუი გამოფენის** სინონიმად არის გამოყენებული და წმინდა ლექსიკური თუ არა, აზრობრივი ტავტოლოგია მაინც არის. მეორე მხრით, **ვერნისაუი** გალერეის და დარბაზის თანაბარი სემანტიკის სიტყვადაა გავებული, ე. ი. **გამოფენის** იმ მნიშვნელობას ემთხვევა, როცა ის აღნიშნავს **ადგილს** (შენობას), სადაც გამოფენაა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით სიტყვა **ვერნისაუის** ამგვარი გამოყენება ბუნებრივად ვერ ჩაითვლება. **ვერნისაუი** და **გამოფენა** არ არის სინონიმური სიტყვები და ერთი მეორის ადგილას ვერ გამოდგება. **ვერნისაუი** გამოფენის გახსნაა მხოლოდ ან გახსნის დღე; **გამოფენა** კი არის საჩვენებლად, დასათვალიერებლად გამოტანა და დალაგება ხელოვნების, ლიტერატურის, მრეწველობისა და მისთ. პროდუქციისა; აგრეთვე ადგილი (ნაგებობა), სადაც ეს საგნებია გამოტანილი და დალაგებული. მაშასადამე, მოყვანილ ილუსტრაციებში ყველგან სიტყვა **გამოფენა** უნდა ეხმარათ.

ვირცხლი იხ. **ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო.**

ვიზიტად ვითარებითი (იგივე მიმართულებითი) ბრუნვის ფორმაა მოქმედების სახელისა — **ვიზიტი**, რომელიც ნიშნავს სტუმრობას, მცირე ხნით ვინმესთან მისვლას მოსანახულებლად, ვისიმე მონახულებას; აგრეთვე — უფრო ვიწრო მნიშვნელობით — კერძოდ გამოიხატული ექიმის მისვლას ავადმყოფთან (ძირითადად რევოლუციამდელ სიტყვათხმარებაში). **ვიზიტი** საერთაშორისო სიტყვაა, ქართულში ფრანგულიდან არის შემოსული (*visite*) რუსულის მეშვეობით და უპირატესად წიგნის ენისათვის არის დამახასიათებელი.

XIX და XX საუკ. რევოლუციამდელ მაღალი წრის საზოგადოებაში ამ სიტყვას უფრო ხშირად იყენებდნენ კერძო სტუმრობის აღსანიშნავად, ვიდრე მასშტაბური ოფიციალური (დიპლომატიური და მისთ.) სტუმრობისა. მაგ.: „ჩვენ დიდხანს ვუცდიდით მათგან **ვიზიტს**“ (აკაკი); „განშირდა **ვიზიტები**, მისვლა-მოსვლა, მიწვევა-მოწვევა“ (გ. წერეთ.). აღნიშნული პერიოდის სალიტერატურო ენაში სიტყვა **ვიზიტი** იმდენად იყო ფეხმოკიდებული და გავრცელებული, რომ მან

ზმნური ფორმებიც კი აწარმოვა, — როგორც პირიანი (ვიზიტობს, ივიზიტა), ისე უპირო — საწყისი (ვიზიტობა), თუმცა ამ სიტყვის უცხოურობის შეგვრძნება არ გამჭრალა და მას ერთგვარი ირონიული ელფერიც კი დაჰკრავდა (ხშირად ახლაც). შდრ.: „ზოგიერთნი, განათლებით გაჩარხულნი, ახლა ვიზიტობენ, თორემ უწინ-კი საღამო ხანი დიდ პატივში იყო“ (ილია); „ერთსა და იმავე სოფელში რომ ვცხოვრობდეთ ორივე ოჯახი, მაშინაც კიღევ შეიძლება ვიზიტობა — მაგრამ ახლა, როცა თქვენ ერთი სოფლიდან მეორეში მობრძანდით..., ჩვენი მამა-პაპური სტუმართმოყვარეობა სჯობია“ (ნ. ლომ.).

ვიზიტ- სიტყვის თანამედროვე სოციალური დანიშნულება რამდენადღე განსხვავებულია. ვიზიტი ჩვენში ამჟამად, პირველ ყოვლისა, პოლიტიკურ მოღვაწეთა სამუშაოდ გამიზნული, ოფიციალური სტუმრობის აღსანიშნავად იხმარება სალიტერატურო ენაში, ხოლო კერძო სტუმრობის აღნიშვნა უფრო განსაზღვრული წრის ზეპირი მეტყველების სფეროს განეკუთვნება და, ჩვეულებრივ, გარკვეულ ირონიულობასაც არ არის მოკლებული. შდრ. ამგვარი ფრაზა: გუშინ დეიდაჩემს ვიზიტი გავუყეთე; ან: „მისი ბიძაშვილის ვიზიტი და ჩამწვარი რძის საქმე ცხვირში ამრად თუ არ ამოვადინე, ტვინში სისხლი ჩამექცევა!“ („თბილ.“).

იმასთან დაკავშირებით, რომ სიტყვა ვიზიტის სოციალურმა ფუნქციამ მიმართულება იცვალა და მას მოხმარების არე — სასაუბრო მეტყველება — შესაბამისად დაუეწიროვდა, ზმნური ფორმებიც (ვიზიტობს, ვიზიტობა) თანდათანობით შემცირდა და ბოლოს თითქმის სულ გადავარდა ხმარებიდან. ნეიტრალური შნიშვნელობით იგი ძირითადად წიგნის ენას შემორჩა შემდეგ გამოთქმებში: ვიზიტი გაუკეთა, ვიზიტით ჩამოვიდა (იყო, ეწვია) და მისთ. ერთ შემთხვევაში ვიზიტი პირდაპირი დამატების ბრუნვებში დგას — მიცემითსა და სახელობითში (ვიზიტს უკეთებს, ვიზიტი გაუკეთა), მეორეში კი ზმნისართულად არის ნაწარმოები: გაქვავებულია მოქმედებით ბრუნვაში (ვიზიტით იყო) და ბოლო ხანებამდე ეს ფორმა ჩვეულებრივი, ტრადიციული იყო.

უკანასკნელ წლებში ოფიციალურ ბეჭდურ ინფორმაციებში (რომლებიც ქართულად უწინარეს ყოვლისა გაზ. „კომუნისტის“ საშუალებით ვრცელდება), შემოღებულ იქნა ვითარებითი ბრუნვის ფორმა ვიზიტად და მან პრესის ენიდან თითქმის სულ გამოდევნა მოქმედებითის ფორმა ვიზიტით. ამჟამად ვიზიტად გამოიყენება როგორც ზმნის გარეშე, — სტატიების სათაურებში („მეგობრულ ვიზიტად“, „სამუშაო ვიზიტად“, „ოფიციალურ ვიზიტად“, „ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად“, „ვიზიტად საბჭოთა კავშირში“ და ა. შ.), ისე რამ-

დენიმე ზმნასთან: **არის** (იყო): **იმყოფება** (იმყოფებოდა), **ეწვევა** (ეწვია), **ჩამოვდა** (ჩავიდა, ჩამოვიდა); აგრეთვე მიმღობასთან (**მყოფი**) შეხამებაში. მაგალითები (მოყვანილია გაზ. „კომუნისტიდან“): „იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იყო საბჭოთა მთავრობის მოწვევით“; „2 დეკემბერს მოსკოვში ხანმოკლე სამუშაო ვიზიტად იმყოფებოდა... პოლონეთის... სავარეო საქმეთა მინისტრი“; „22 იანვარს აქ მორიგ დემონსტრაციულ ვიზიტად ჩამოვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი...“; „...თეთრმა სახლმა აღნიშნა, რომ ისრაელის პრეზიდენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა „ოფიციალურ სამუშაო ვიზიტად“; „...26 ოქტომბერს მოსკოვიდან ჰანოის ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია...“; „ჩინეთის... თავდაცვის მინისტრმა ჯან აიპინმა მიიღო წინადადება ეწვიოს ვიზიტად ამერიკის შეერთებულ შტატებს“; „აქ მოლაპარაკება გაპარტეს პეკინში ვიზიტად მყოფმა... უაიხბერგერმა და ...ჯან აიპინმა“.

აღნიშნული ფორმები კანონზომიერად მეორედება თანამედროვე ოფიციალურ პრესაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამგვარი ხმარება სტიქიური არ არის და ისინი გარკვეული ენობრივ-სტილისტიკური პოზიციის ამსახველია.

სავარაუდებელია, რომ გამოთქმები ვიზიტად **არის**, ვიზიტად **ეწვია**, ვიზიტად **ჩამოვიდა** და მისთ. „გაქეთდა“ მსგავსი შინაარსის მჭობნე გამოთქმების — **სტუმრად არის**, **სტუმრად ეწვია** და სხვ. ანალოგიით (შდრ.: „სამსონი საავადმყოფოში სადმე ვიზიტად რომ მიდიოდა, ეხვეწებოდა: შენი ქირიმე, არ დამღუპო, მეტი არა ჰამოო“ (თ. სახ.). ამ სიტყვების სემანტიკური სიახლოვე კარგად ჩანს ამ კონტექსტში: „ეს გახლდათ ქრენშოუს ორკვირიანი **სტუმრობის** პირველი ვიზიტი სატანასთან“ („ლიტ. საქ.“); შდრ. აგრეთვე: **მასწავლებლად მუშაობს**, **დირექტორად არის**, **ტურისტად გაემგზავრა** და მსგავსი კონსტრუქციები. მაგრამ უგულვებელყოფილია ის ფაქტი, რომ **სტუმარი** და **ვიზიტი** სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფის სახელებია. ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს **ვიზიტ-** სიტყვის სწორი ფორმის არჩევასათვის. **ვიზიტი** აბსტრაქტული, უკეთ, მოქმედების სახელია, ხოლო **სტუმარი** — კონკრეტული; კონკრეტულ სახელებთან კი ვითარებითის ფორმა ცვლის კავშირს **როგორც** (მაგ., მუშაობს როგორც მასწავლებელი, გაემგზავრა როგორც ტურისტი...). აქედან გამომდინარე, ანალოგია უფრო ზუსტი და თანამიმდევრული იქნებოდა, თუ ნაცვლად სიტყვისა **ვიზიტად** ვინმარდით სიტყვას **ვიზიტორად**, რადგან სწორედ ეს უკანასკნელია **სტუმრის** სინონიმი, და არა თვით **ვიზიტი**.

რაც შეეხება საწყისს, თანამედროვე ქართულში არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა, რომ ზმნის უპირო ფორმა — საწყისი — მიზნის აღსანიშნავად ვითარებით ბრუნვაში იდგეს. ასეთი პრაქტიკა მხოლოდ ძველი ქართულისათვის იყო ცნობილი (შდრ. დაჯდა წერად), ახალ ქართულში კი საამისოდ მყოფადის მიმღვობა გამოიყენება ვითარებითში (დაჯდა **საწერად**, პურის **საკმელად**... აღბათ, ამ უკანასკნელის მიბადებით ვითარებითის ფორმები გვაქვს იმავე თემატური წრის სახელებთან: **სადილად**, **სამხრად** (მათი ანალოგიით — **ვახშმად**), რომლებშიც თავკიდური **სა-** კომპლექსი მყოფადის მიმღვობის მაწარმოებლად აღიქმება). სხვათა შორის, იმავე წესით შეუძლებელი არ იქნებოდა იმავე **ვიზიტ-** ფუძისაგან ნაწარმოები დანიშნულების სახელის ვითარებითის ფორმა გამოგვეყენებინა: **სავიზიტოდ** < **სავიზიტო** (შდრ.: **სავიზიტო ბარათი** — **სადარბაზო ბარათი**) + **დ** ფორმანტი (შდრ. მიმღვობური ფორმები: **სანახავად**, **სამოგზაუროდ**... ანალოგიურად ნაწარმოები ინტერნაციონალიზმები: **საკონკურსოდ**, **საექსპორტოდ**, **საილუსტრაციოდ**, **საგასტროლოდ**, **სადემონსტრაციოდ**...).

ვინაიდან საწყისი გაქვავებულ ფორმებს არსებითად მხოლოდ მოქმედებითი ბრუნვის საშუალებით იწარმოებს (**მოწვევით**, **მითითებით**, **გაკვრით**, **წყენათ**... შდრ., აგრეთვე, აბსტრაქტულ სახელთა ანალოგიური ფორმები: **მისით**, **მიზნით**, **დანიშნულებით**...), სიტყვა **ვიზიტიც**, როგორც ზოგადად მოქმედების აღმნიშვნელი სახელი, ყველა მსგავსი სემანტიკის მქონე სიტყვის, მათ შორის, საწყისის ანალოგიით, მოქმედებით ბრუნვაში უნდა დადგეს. ახალ ქართულში მოქმედი ეს წესი მტკიცეა და იგი არ უნდა დაირღვეს, თუკი ამას აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვს.

მაშასადამე, **ვიზიტად** ფორმის შემცველი კონსტრუქციები უნდა შეფასდეს არა ტრადიციულ ენობრივ მემკვიდრეობად, არამედ ისეთ ანაქრონიზმად, რომლის ერთ-ერთი გამოვლენაა შედარებით ახალი ნასესხობის წარმოება არქაული წესით; უფრო სწორ ფორმებად უნდა იქნეს მიჩნეული მოქმედებითის ფორმები: **ვიზიტით ჩამოვიდა** (არის, ეწვია); **ოფიციალური** (სამუშაო, მეგობრული) **ვიზიტით** და ა. შ. სემანტიკურ-ფორმობრივი თვალსაზრისით ანალოგიურ კონსტრუქციას ქმნის მოქმედებითში გაქვავებული საწყისი **გავლა**. მაგ.: იგი ჩვენა ქალაქში **გავლით** (და არა **გავლად**) არის. ასევე: **მივლინებით**, **შეებულებით** და მისთ., რომლებიც უკვე არსებით სახელებადაა ქცეული.

ვითარებითის ფორმებისათვის უპირატესობის მინიჭება, როგორც ჩანს, შეპირობებულია კალკირებული კონსტრუქციების თავიდან აცილების სურვილით (შდრ. **Приехал с официальным визитом**—

ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა). მაგრამ, ჯერ ერთი, რუსულის სათანადო ბრუნვას — მოქმედებითს (творительный) ქართულში შეესაბამება არა მარტო მოქმედებითი, არამედ ვითარებითიც და, ზოგჯერ, სხვა ბრუნვებიც, სხვადასხვა თანდებულიანი ფორმები (მაგ.: стал человеком—კაცად იქცა, კაცი გახდა; утром—დილით||დილას; зимой — ზამთარში; весной — გაზაფხულზე; вместе с матерью — დედასთან ერთად და ა. შ.). ამიტომ მოქმედებითის ფორმაზე უარის თქმა კალკირების საკითხს ვერ მოხსნის. გარდა ამისა, საწყისის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა ასევე ორგანული და ტრადიციულია ქართულისათვის და ხელოვნურობის შთაბეჭდილებას არა ქმნის.

ვიზიტად ფორმის ხმარებასთან დაკავშირებით შეინიშნება სხვახასიათის შეუსაბამობაც, რომელსაც ქმნის დროის მონაკვეთის აღმნიშვნელი მსაზღვრელი, ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი: ორი დღის ვიზიტად, ოთხი დღის ვიზიტად და ა. შ. მაგ.: „...პრეზიდენტი რეიგანი 4 დღის ვიზიტად [უნდა იყოს: 4-დღიანი ვიზიტით] ჩავიდა იაპონიაში...“; „პრეზიდენტმა რეიგანმა მოლაპარაკება გამართა... ი. თიურქმენთან, რომელიც აქ ორი დღის ვიზიტად [უნდა იყოს: ორდღიანი ვიზიტით] იმყოფებოდა“ („კომ.“).

უხერხულ შესიტყვებას ქმნის აგრეთვე ნათესაობითის ფორმით წარმოდგენილი აბსტრაქტული სახელი ვიზიტ-სიტყვის მსაზღვრელად: „მოხარული ვართ, რომ „მეგობრობის ვიზიტად“ [ჯობდა: მეგობრული ვიზიტით] ჩავალთ სეგედში იმ აღამიანებთან, რომლებიც ჩვენს ქვეშაირიტი მეგობრები გახდნენ...“ („კომ.“). შეუსაბამობის მიზეზია მსგავსი ცნებების — აბსტრაქტული სახელისა და მოქმედების სახელის უმართებულო სემანტიკური დაკავშირება.

ზ

ზაფხულში/ზაფხულზე. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი ერთი და იმავე სემანტიკური წრის — წელიწადის დროთა — სახელებია. მაგრამ ერთი და იმავე დანიშნულებით, კერძოდ, დროული მიმართების გადმოსაცემად ისინი სხვადასხვა — -ზე და -ში თანდებულებს ირთავენ. როდის? გაზაფხულზე, შემოდგომაზე, მაგრამ ზაფხულში, ზამთარში. თანდებულთა ამგვარი გამოყენება თუ განაწილება ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ენობრივი ტრადიციით არის გამართლებული და იგი უნდა დავიცვათ, არ შეიძლება ითქვას ზაფხულზე ან ზამთარზე. ასეთი ფორმები კი, მართალია, ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება ენაში: „ჭორფლი უმეტესად უჩნდე-